ვერ შეხვალთ სამოთხეში მანამ, სანამ არ ირწმუნებთ, და ვერ ირწმუნებთ მანამ, სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებთ. გინდათ გასწავლოთ ისეთი რამ თუ მას გააკეთებთ ერთმანეთს შეიყვარებთ? გაავრცელეთ სალამი თქვენ შორის

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვერ შეხვალთ სამოთხეში მანამ, სანამ არ ირწმუნებთ, და ვერ ირწმუნებთ მანამ, სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებთ. გინდათ გასწავლოთ ისეთი რამ თუ მას გააკეთებთ ერთმანეთს შეიყვარებთ? გაავრცელეთ სალამი თქვენ შორის».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ სამოთხეში მხოლოდ მორწმუნეები შევლენ, რწმენა სრულყოფილი არ იქნება და არ გამოსწორდება მუსლიმი საზოგადოების მდგომარეობა, სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებენ. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუთითა საუკეთესო საქმეზე, რომელიც სიყვარულს გამოიწვევს, ეს არის მუსლიმანთა შორის სალამის გავრცელება, რომელიც ალლაჰმა მორწმუნეებს მისალმებად დაუდგინა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3361

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee